სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 31

2021 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

EURAXESS-საქართველოს ეროვნული პორტალის ოპერირების პრინციპების დამტკიცების შესახებ

ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის (Horizon 2020) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „EURAXESS Georgia Network Startup" (საგრანტო ხელშეკრულება: EuGeNeS-870232) პირველი დანართის მე-3 სამუშაო პაკეტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარარტამენტის უფროსის 2021 წლის 30 მარტის N303283 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს EURAXESS-საქართველოს ეროვნული პორტალის ოპერირების პრინციპები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

დანართი №1

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION	RESEARCHERS IN MOTION euraxess Georgia
EURAXESS საქართველოს ეროვნული პორტალის ოპერირების პრინციპები	Georgian National EURAXESS Portal Operation Principles
მუხლი 1. ზოგადი დებულებები	Article 1. General Provisions
1. EURAXESS-საქართველოს ეროვნული პორტალი შექმნილია საგრანტო ხელშეკრულება ნომერი 870232 – EuGeNeS (შემდგომში - საგრანტო ხელშეკრულება) საფუძველზე, რომელიც დაიდო **ევროკავშირსა** (რომელსაც წარმოადგენს ევროკომისია და მასთან არსებული კვლევისა და ინოვაციების დირექტორატის, ინოვაციური ადმინისტრირების, ფინანსური მართვისა და პროგრამების მხარდაჭერის ხელმძღვანელი) და **სსიპ** - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდს (შემდგომში - ფონდი) შორის.	1. Georgian National EURAXESS Portal has been developed on the basis of the grant agreement number 870232 – EuGeNeS (hereafter – the grant agreement) between **the European Union,** (represented by the European Commission and the head of Unit, Directorate-General for Research and Innovation, Innovative Administration, Financial Management & Program Support) **and Shota** Rustaveli National Science Foundation of Georgia (hereafter – the foundation).
2. EURAXESS-საქართველოს ეროვნული პორტალი ოპერირებს 870232 – EuGeNeS პროექტითა და EURAXESS-ის ქსელის წევრის ვალდებულებათა აღების დეკლარაციით განსაზღვრული პრინციპების დაცვით.	2. Georgian National EURAXESS Portal operates according to the principles provided as an annex 1 of the grant agreement 870232 – EuGeNeS and "Declaration of Commitment by the members of the EURAXESS service network".
3. EURAXESS-საქართველოს ეროვნული პორტალი შექმნილია რათა ფუნქციონირებდეს EURAXESS-ის ევროპული პორტალთან ერთად და გასცემდეს ინფორმაციას ვაკანსიებისა და დაფინანსების შესაძლებლობების, ეროვნული რეგულაციებისა და პროცედურების, ასევე ადმინისტრაციული და კულტურული საკითხების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია მობილური მკვლევრებისთვის.	3. Georgian National EURAXESS Portal has been created to complement existing information provided by the European EURAXESS Portal on jobs and funding opportunities, national regulations and procedures, as well as administrative and cultural issues relevant for mobile researchers.
მუხლი 2. EURAXESS-საქართველოს ეროვნული პორტალის შექმნისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები	Article 2. Main Principles of Setting up and Maintenance of the Georgian National EURAXESS Portal
• EURAXESS-ის ევროპულ პორტალთან თავსებადობა: ოპერაციული პროტოკოლის სტანდარტიზაცია, ფორმატები, ძებნა და აღდგენის ფუნქციები, შესვლის ინტერფეისი, ტერმინალის ინტერფეისი და პროტოკოლები: ევროკომისიის მიერ დადგენილ რელევანტურ დოკუმენტებთან და მოსალოდნელ შედეგებთან ერთად; • EURAXESS-ის ლოგოსა და სლოგანის გამოყენება: ამ ვალდებულების ყველა ხელმომწერმა (ეროვნული წარმომადგენლობა, სერვის ცენტრი, საკონტაქტო პირი, კარიერული განვითარების ცენტრი) უნდა გამოიყენოს EURAXESS-ის ლოგო და სლოგანი (EURAXESS –	• Interoperability with the European EURAXESS Portal: Standardisation on core sets of inter-operational protocols, formats, search and retrieve functions, access interfaces and terminal interfaces and protocols: in conjunction with the relevant documents and deliverables as proposed by the EC; • Use of the EURAXESS logo and slogan: all signatories of this commitment (BHO, ESC, ECP, ECDC) shall use the EURAXESS logo and slogan ("EURAXESS - Researchers in Motion") according to the User Guide provided by the EC;

in Motion") ევროკომისიის მომხმარებელთა სახელმძღვანელოს შესაბამისად; • ხარისხის უზრუნველყოფა: ამ ვალდებულების ყველა ხელმომწერი თანხმდება, რომ უზრუნველყოფს საკუთარ ეროვნულ პორტალზე მაღალი ხარისხის ინფორმაციის განთავსებას: ინფორმაცია უნდა იყოს სრული, მომხმარებელზე ორიენტირებული და განახლებული. ეროვნულ პორტალზე, რომელიც ევროპულ ვებ-გვერდთან მიმოცვლის ინფორმაციას, განთავსებული მასალების ხარისხზე სრულად პასუხისმგებელია ეროვნული პორტალის ადმინისტრატორი და კონტენტის მენეჯერი; • ხელმისაწვდომობა: ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მკვლევრისთვის, მიუხედავად მათი მდგომარეობის, წარმომავლობის, თუ სოციალური კუთვნილების. • ანტიდისკრიმინაციის პრინციპები: ინფორმაცია თავსებადი უნდა იყოს ანტიდისკრიმინაციულ პრინციპებთან და უნდა უზრუნველყოფდეს მომხმარებელთა მიმართ თანასწორ მოპყრობას განურჩევლად მათი ეროვნების, გენდერის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური კუთვნილების, შესაძლებლობების, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის; • კონფიდენციალურობა: შესაბამის შემთხვევებში ინფორმაციის მიწოდება და კონსულტირება უნდა მოხდეს მომხმარებელთა კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის უფლების დაცვით; • EURAXESS-ის ინიციატივის საერთო კუთვნილება: წევრები ვალდებულები არიან გაცვალონ ინფორმაცია და გააზიარონ გამოცდილება ამ ვალდებულების ფარგლებში.	• Quality assurance: all the signatories of this Commitment agree to do their best to ensure that the information included within their National Portal is of the highest quality: the information provided shall be complete, impartial, accurate, practical, user-friendly and up-to-date. The responsibility for this quality assurance lies entirely with the Portal Administrator and Content Manager of each national EURAXESS portal that exchanges information with the European site; • Accessibility: information provided shall be accessible to all researchers regardless of their situation, place of residence or social category; • Principle of non-discrimination: information provided shall respect the principle of non-discrimination and in particular shall guarantee equal treatment for its users irrespective of their nationality, gender, racial or ethnic origin, religion or beliefs, disability, age or sexual orientation; • Confidentiality: Where relevant, information and counselling are given in a way that respects the user's right to confidentiality and anonymity; • Common ownership of the EURAXESS initiative: participating members are committed to exchange information and to share experiences within the scope of this Commitment.
მუხლი 3. EURAXESS-საქართველოს ეროვნული პორტალის აღწერილობა	**Article 3. Georgian National EURAXESS Portal Description**
• EURAXESS საქართველოს ეროვნული პორტალი შეიქმნა პან-ევროპული EURAXES-ის პორტალის, ევროკომისიის მიერ დამკვიდრებული გზამკვლევებისა და სტანდარტების შესაბამისად; • EURAXESS საქართველოს ეროვნული პორტალზე „ერთი ფანჯრის პრინციპით" ხელმისაწვდომია ამომწურავი და განახლებული ინფორმაციია, რომელიც ესაჭიროებათ მობილობით, კარიერული განვითარებით, ასევე ინდუსტრიაში დასაქმებით დაინტერესებულ მკვლევრებს; • პორტალი არის ორენოვანი, ინფორმაციის სრული ვერსია ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, ხოლო ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია	• Georgian National EURAXESS Portal has been developed in line with pan-European EURAXES portal, according to guidelines and standards established by the European Commission; • Georgian National EURAXESS Portal provides "one-stop" – based service to deliver comprehensive and up-to-date information needed for researchers in motion, as well as those interested in pursuing different career development and industry engagement opportunities; • The portal is bilingual, information is provided in English and Georgian. The full version of the information is provided in English and short

ინფორმაციის შემოკლებული ვერსია, რომელიც გამოსადეგია არამობილური ქართველი მკვლევრებისათვის. ინფორმაციას თან ერთვის ბმულები, რომელიც გადადის ინფორმაციის ოფიციალურ წყაროებთან. (იხილეთ პორტალზე განთავსებული ინფორმაციის კატეგორიები დანართში); • პორტალი დაუკავშირდება სოციალურ მედიას, როგორიცაა: facebook და twitter.	version of the information is in Georgian useful for non-mobile researchers. Alongside the information reference links are provided, the links navigate to official sources of information. (See Annex 1 for Information Categories); • The portal is connected to the social media, such as: Facebook and Twitter.
მუხლი 3. EURAXESS-საქართველოს ეროვნული პორტალის ადმინისტრირება	Article 4. Georgian National EURAXESS Portal Administration
1. EURAXESS-საქართველოს ეროვნული პორტალის ადმინისტრირებას ახორციელებს EURAXESS-საქართველოს ცენტრის პერსონალი.	1. Georgian National EURAXESS Portal is administered by the personnel of the EURAXESS Service Center.
2. EURAXESS-საქართველოს ცენტრი უზრუნველყოფს: • პორტალის შინაარსის შექმნას, განახლებასა და განვითარებას; • პორტალის პოპულარიზაციას • საქართველოში დაფუძნებული ორგანიზაციების მიერ EURAXESS-ის ევროპულ პორტალზე გამოქვეყნებული მკვლევართა ვაკანსიებისა და გრანტების პოპულარიზაციას	2. EURAXESS Georgia Service Centre is responsible for: • Portal content creation, update and development; • Portal popularization; • Promotion of job vacancies and funding opportunities posted directly on the European Portal by Georgian organizations
3. EURAXESS-საქართველოს ცენტრი უფლებამოსილია პორტალის განვითარებისა და პოპულარიზაციის საკითხები შეათანხმოს EURAXESS მხარდამჭერ გუნდთან, კოორდინატორთან და პოლიტიკის ოფიცერთან.	3. EURAXESS Service Centre cooperates with a EURAXESS support group, coordinator and policy officer on portal development and promotion realtion issues.
4. EURAXESS-საქართველოს ეროვნული პორტალის განვითარებასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბიუჯეტიდან.	4. Georgian National EURAXESS Portal development and maintenance is financed from the project budget in accordance with the grant agreement.

Annex 1

Information Categories provided at the Georgian National EURAXESS Portal

Menu	Sub-menu	Pages
Homepage	Opportunities for researchers, research organizations and universities, business	Welcome note, Information on Covid-19, Incorporated social media pages (Facebook, Twitter) Guides on funding opportunities (attachments)
Jobs & Funding	Search jobs Offer jobs Find funding Partnering	WORKING ENVIRONMENT • Charter & Code for Researchers • Human Resources Strategy for Researchers CAREER DEVELOPMENT • EURAXESS Career Development Centres • Career Development Resources for Researchers • Career Development for Organisations • Doctoral Training Principles • Careers Beyond Academia • EURAXESS Talent Development Suite • EURAXESS Intercultural Assistant
Information & Assistance	Search for information Find professional assistance	LIVING IN GEORGIA • About Georgia • Entry conditions & visas • Residence Permit • Medical care • Health insurance • Banking • Accommodation • Daily life • Kindergarten and schooling WORKING IN GEORGIA • Recognition of qualifications • Taxation • Work permit • Pension rights RESEARCH IN GEORGIA • Research landscape • Intellectual Property Rights (IPR) • Georgian diaspora STUDY IN GEORGIA • Higher education system & admission terms • Universities in Georgia LEAVING GEORGIA • Departure conditions and formalities

Georgian network		Information about the network composed by Bridge head organization, EURAXESS service centre and EURAXESS contact points at 6 leading universities
News & Events		News & Events
EURAXESS around the world		Navigation towards the other EURAXESS National Portals
Georgian organizations can publish job vacancies and funding opportunities directly on the European Portal in English.		

დანართი 1

EURAXESS საქართველოს ეროვნული პორტალის ინფორმაციის კატეგორიები

მენიუ	ქვემენიუ	გვერდები
საწყისი გვერდი	შესაძლებლობები მკვლევრებისთვის, კვლევითი ორგანიზაციები და უნივერსიტეტები, ბიზნესი	მისასალმებელი სიტყვა, ინფორმაცია კოვიდ-19-ზე, სოციალური მედია (Facebook, Twitter) დაფინანსების შესაძლებლობების გზამკვლევები (დანართების სახით)
ვაკანსიები & დაფინანსება	სამსახურის ძებნა სამსახურის შეთავაზება დაფინანსების მოძიება პარტნიორობა	სამუშაო გარემო • ქარტია და კოდექსი მკვლევრებისთვის • ადამიანური რესურსების სტრატეგია მკვლევრებისთვის კარიერული განვითარება • EURAXESS კარიერული განვითარების ცენტრები • კარიერული განვითარების რესურსები მკვლევრებისთვის • კარიერული განვითარება ორგანიზაციებისთვის • დოქტორანტთა სწავლების პრინციპები • კარიერა აკადემიის მიღმა • EURAXESS ტალანტის განვითარების პაკეტი • EURAXESS ინტერკულტურული დახმარება
ინფორმაცია & დახმარება	ინფორმაციის ძებნა პერსონალური დახმარების ძებნა	საქართველოში ცხოვრება • საქართველოს შესახებ • ქვეყანაში შემოსვლის პირობები და ვიზები • ბინადრობის ნებართვა • სამედიცინო მომსახურება • ჯანმრთელობის დაზღვევა • საბანკო სისტემა • საცხოვრებელი ადგილი

		• ყოველდღიური ცხოვრება • ბაღი და სასკოლო განათლება საქართველოში მუშაობა • კვალიფიკაციის აღიარება • საგადასახადო სისტემა • მუშაობის ნებართვა • საპენსიო უფლებები საქართველოში კვლევა • კვლევითი გარემო • ინტელექტუალური საკუთრების უფლებები • ქართული დიასპორა საქართველოში სწავლა • უმაღლესი განათლების სისტემა და მიღების პირობები • უნივერსიტეტები საქართველოში საქართველოს დატოვება • ქვეყნიდან გასვლა და ფორმალური საკითხები
საქართველოს ქსელი		ქსელის შესახებ ინფორმაცია მოიცავს ეროვნულ წარმომადგენლობას, სერვის ცენტრსა და საკონტაქტო პირებს 6 წამყვან უნივერსიტეტში
ახალი ამბები & ღონისძიებები		ახალი ამბები & ღონისძიებები
EURAXESS მსოფლიოში		EURAXESS ეროვნულ პორტალებს შორის ნავიგაცია
ქართულ ორგანიზაციებს ვაკანსიები და დაფინანსების შესაძლებლობები შეუძლიათ გამოაქვეყნონ ინგლისურად, პირდაპირ ევროპულ პორტალზე		